ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 31 3877

20/11/2019

3877-31-4-201911201757

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ“ პუნქტის ,,გ.ვ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ პუნქტის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა, დადგენილი წესით თვითმმართველი ერთეული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში - საკრებულოში წარდგენილი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესაბამისად.

2. დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებას, დადგენილი წესით უზრუნველყოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის რეგისტრაცია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის „ePLAN“ მოდულში.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს ვივალებ პირადად.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

გრიგოლ იოსელიანი

მუნიციპალიტეტის მერი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია